შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 18 ივლისი 2024 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 95-24

„სამუშაო სივრცეში პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტით, რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ „სამუშაო სივრცეში პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლების შესახებ“ წესი დანართი #1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს, ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა (ციცინო ხითარიშვილი).
3. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

რექტორი აკაკი ჭელიძე

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ. ეუთათელაძის ქ.N3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242

info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #95-24 ბრძანებით; 18.07.2024

სამუშაო სივრცეში პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლების შესახებ

თბილისი

2024

სამუშაო სივრცეში პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლების შესახებ

1. სამუშაო სივრცეში დასაქმებულთა და სხვა პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლებაზე პასუხისმგებელია შრომისა და უსაფრთხოების სპეციალისტი და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები.
2. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლებაზე პასუხისმგებელ პირებს უფლება აქვთ გონივრული ეჭვის საფუძველზე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლის მსურველ პირს მოსთხოვონ შემოწმების გავლა იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა პირი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში.
3. ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად.
4. შემოწმების შედეგები აისახება შემოწმების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი #1), გრაფაში - „მდგომარეობა“, სადაც „დაიშვება“ აღნიშნავს შემოწმების შედეგად მიღებულ უარყოფით შედეგს, ხოლო „არ დაიშვება“ - დადებით შედეგს.
5. აღნიშნულ შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირი არ დაუშვას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე/პირს დაატოვებინოს უნივერსიტეტის ტერიტორია.
6. მეორე შემთხვევაში აღნიშნულ შემოწმებაზე უარის თქმა შესაძლოა განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.
7. შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია აისახება შემოწმების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი #1), გრაფაში „მდგომარეობა“.
8. შემოწმების ჟურნალს ხელს აწერ შესამოწმებელი პირი და შემმოწმებელი (ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლებაზე პასუხისმგებელი) პირი.
9. ნებისმიერ თანამშრომელსა და სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი პირის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გონივრული ეჭვის საფუძველზე მიმართოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის გაკონტროლებაზე პასუხისმგებელ პირს, შემდგომი რეაგირების მიზნით.

დანართი #1

ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობის შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი

N	სახელი, გვარი	მდგომარეობა (დაიშვება/არ დაიშვება)	შემოწმების თარიღი	შესამოწმებელი პირის ხელმოწერა	შემმოწმებელი პირის ხელმოწერა